

# გვარ *Salix*-ის გავრცელების კანონზომიერებანი საქართველოში

ნიკოლოზ არჩვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე  
ბუნებათსარგებლობის (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი მარინე მოსულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## შინაარსი

1. აბსტრაქტი .....	გვ. 2
2. შესავალი.....	გვ. 3
3. საკვლევი გარემოს მიმოხილვა .....	გვ. 4
3.1 საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....	გვ. 4
3.2 ფლორა დამცენარეულობა .....	გვ. 5
3.3 კლიმატი .....	გვ. 9
4. ლიტერატურული მიმოხილვა.....	გვ. 10
5. სახეობათა დახასიათება .....	გვ. 14
6. მეთოდები .....	გვ. 21
7. მოდელირება .....	გვ. 22
8. შედეგები და განხილვა.....	გვ. 24
9. დასკვნა .....	გვ. 29
10. მადლობა .....	გვ. 30
11. გამოყენებული ლიტერატურა .....	გვ. 31
12. დანართები .....	გვ. 34

## აბსტრაქტი

საქართველო ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ერთ-ერთი რეგიონია. აქ გავრცელებულია მრავალი სახის მცენარე და გამორჩეულია თავისი ფლორით. საქართველოში იზრდება მრავალი სახის ენდემური სახეობა. გარდა ანთროპოგენური და სხვადასხვა ფაქტორებისა მის მცენარეულ საფარზე, მათ შორის ამ ნაშრომში განხილულ ენდემურ და იშვიათ სახეობებზე აქტიურად მოქმედებსკლიმატი. კლიმატურფაქტორთა ცვლილებების მიმართგანსაკუთრებითმგრძნობიარეა მაღალმთის მცენარეულობა სწორედ ამიტომ ჩვენ შევარჩიეთ გვარ *Salix*-ის 5, იშვიათი და ენდემური სახეობა, რომლებიც საქართველოში ძირითადად სუბალპურ/ალპურ სარტყელშია წარმოდგენილი. გვარ *Salix*-ის სახეობების ვერტიკალურ სარტყლებში გავრცელების კანონზომიერებაზე კვლევები საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. ამიტომ მოვახდინეთ ამ ენდემური სახეობებისთვის ოპტიმალური კლიმატური პირობების მქონე ადგილმდებარეობის განსაზღვრა, კლიმატური ნიშის მოდელირების მეშვეობით. კვლევის შედეგად, დადგინდა ის არეალები, სადაც შესაძლებელია ამ კონკრეტული სახეობების გავრცელება. ძირითადად გამოიკვეთა რამოდენიმე ისეთი ტერიტორია, რომლებიც უფრო მეტადაა ხელსაყრელი ამ მცენარეებისათვის. მაგალითად, ასეთი ტერიტორიაა ყაზბეგის რეგიონი, თუმ-ფშავ-ხევსურეთი და სხვა.